



INTERNATIONAL UNIVERSITY
BATUMI

სასწავლო უნივერსიტეტის
შპს „ბაუ ინტერნეიშენალ უნივერსიტი ბათუმი“



განვითარების
სტრატეგიული გეგმა
2018-2024

სარჩევი

რექტორის მისალმება -----	3
პრეამბულა, მისია, ხედვა, ღირებულებები -----	4-7
სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია -----	8
სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი -----	9
უნივერსიტეტის შიდა ანალიზი -----	10
სტრატეგიული მიმართულებები -----	11
სტრატეგიული მიმართულება 1 სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესის განვითარება -----	12
სტრატეგიული მიმართულება 2 ორგანიზაციული განვითარება -----	13
სტრატეგიული მიმართულება 3 ინფრასტრუქტურის განვითარება -----	14
სტრატეგიული გეგმის განმახორციელებლები -----	15
შესრულების პერიოდი -----	16/19
მონიტორინგისა და შეფასების გეგმა -----	19/26
სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფი -----	27



რექტორის გზავნილი



ჩვენი უნივერსიტეტი უზრუნველყოფს უნიკალურ და ფასდაუდებელ საშუალებას აღზარდოს და მოამზადოს მაღალკვალიფიციური მსოფლიოს მოქალაქეები, რომლებიც ფლობენ თავიანთი დარგისათვის აუცილებელ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს და აქვთ გლობალური მსოფლმხედველობა.

ბაუს საერთაშორისო უნივერსიტეტის გუნდი ძალისხმევას არ იშურებს, რათა სტუდენტებმა წარმატებით გაართვან თავი სასწავლო პროცესს.

ჩვენი პრიორიტეტია სტუდენტების შემოქმედებითობის და ინოვაციურობის ხელშეწყობა, რათა საბოლოო ჯამში მივიღოთ კონკურენტუნარიანი და ცვალებად გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი მაღალკვალიფიციური კადრი.

უნივერსიტეტის მიზანია მაღალი ხარისხის განათლების მიწოდება და ფართო კორიზონტის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, რომელიც მსოფლიოში მშვიდობის, კაცობრიობის კეთილდღეობის და ბედნიერების საფუძველია.

ჩვენს მიერ შემუშავებული სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს უნივერსიტეტის მთავარ განმავითარებელ დოკუმენტს მომდევნო შვიდი წლის განმავლობაში. აღნიშნული სტრატეგიული გეგმის განხორციელება მოგვცემს საშუალებას შევიშუავოთ და განვაავითაროთ საერთაშორისო და ადგილობრივ ბაზარზე კონკურენტუნარიანი და კვლევებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადებას,

პროფესორი ისაეთ დინდარ
ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი

A handwritten signature in blue ink, likely belonging to the rector mentioned in the text.

პრეამბულა



სასწავლო უნივერსიტეტი შპს „ბაუ ინტერნეიშენალ უნივერსიტი ბათუმი“ ახლად დაარსებული სასწავლო უნივერსიტეტია საქართველოში, სადაც განათლებისა და კვლევის მისია წარმატებით ხორციელდება მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის, უახლესი ტექნოლოგიებითა და ხელსაწყოებით აღჭურვილი აუდიტორიებისა და ლაბორატორიების დახმარებით. ამერიკული მოდელის სასწავლო პროგრამა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით იქნა შედგენილი და მას წარმართავენ სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებიდან მონვეული უცხოელი და ქართველი პროფესორ-მასწავლებლები. ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი განთავსებულია JCI სტანდარტების შესაბამისი, უახლესი ციფრული ტექნოლოგიებით აღჭურვილი პოსპიტალის შენობაში, რაც უნიკალურ საშუალებას იძლევა სტუდენტებმა კლინიკური პრაქტიკები სწავლის დაწყების პირველივე დღეებიდან საუკეთესო კლინიკურ გარემოში გაიარონ.

ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი საგანმანათლებლო დაწესებულებების საერთაშორისო ქსელის "ბაუ გლობალის" წევრია, რომელიც სამი კონტინენტის შვიდ ქვეყანაში აერთიანებს ხუთ უნივერსიტეტს, ხუთ საუნივერსიტეტო კამპუსს და სამი ენის სკოლას. ეს საშუალებას აძლევს ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებს თავიანთი ცოდნა და გამოცდილება საქართველოს ფარგლებს მიღმა გაიღრმავონ ბაუ გლობალის პარტნიორ წამყვან სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში.



მისია

სასწავლო უნივერსიტეტის შპს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმი“-ს მისიაა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პოლიტიკა; მაღალზნეობრივი სტანდარტების, კვალიფიციური, მეცნიერული ხედვითა და ინოვაციური ტექნოლოგიების ცოდნით აღჭურვილი, ლიბერალური ღირებულებების მქონე კადრების მომზადება, რომლებიც კონკურენტუნარიანი იქნებიან როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო ბაზარზე.



ხედვა

სასწავლო უნივერსიტეტი შპს „ბაუ ინტერნეიშენალ უნივერსიტი ბათუმი“ მხარს უჭერს გლობალურ ხედვას, რომელიც სცდება პოლიტიკურ და კულტურულ საზღვრებს და აფასებს ადამიანის ღირსებას, საყოველთაო უფლებებსა და თავისუფლებებს განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, აღმსარებლობის ან რელიგიისა.

საქართველოს და უცხოეთის უნივერსიტეტებთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შემუშავებითა და განხორციელებით, უნივერსიტეტი ხელს უწყობს პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების ინტეგრაციას მსოფლიო საგანმანათლებლო-სამეცნიერო სივრცეში.

უნივერსიტეტის მიზანია მაღალი ხარისხის განათლების მიწოდება და ფართო კორიზონტის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, რომელიც მსოფლიოში მშვიდობის, კაცობრიობის კეთილდღეობის და ბედნიერების საფუძველია.



ღირებულებები:

- დემოკრატიული იდეალების, ადამიანის უფლებების, თავისუფლებებისა და კანონის უზენაესობის მხარდაჭერა;
- საყოველთაოდ აღიარებული ეთიკური გაიდლაინებისა და პრინციპების მკაცრი დაცვა;
- უაღრესი პატივისცემა გარემოსადმი და პასუხისმგებლობა დედამიწის რესურსების გამოყენებისადმი;
- უკომპრომისო ერთგულება ცოდნის წარმოების, დანერგვისა და გავრცელების მიმართ;
- ურთიერთთანამშრომლობის ვალდებულებანი მაღალკვალიფიციურ აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება ჩვენს ხედვასა და მისიას;
- კეთილი ურთიერთდამოკიდებულებების ჩამოყალიბება საერთაშორისო სტუდენტთა საზოგადოებასთან და მათი მრავალფეროვანი კულტურული და რელიგიური ღირებულებების პატივისცემა;
- „სააუდიტორიო“ განათლების შერწყმა "რეალური სამყაროს" გამოცდილებასთან, პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების გზით;
- მჭიდრო თანამშრომლობა კერძო სექტორთან, სამთავრობო უწყებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.



სტრატეგიული დაგეგმვარების მეთოდოლოგია:

ბაუს საერთაშორისო უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიის შემუშავების მიზნით რექტორის ბრძანებით იქმნება სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს რექტორი და რომლის შემადგენლობაში შედის ადმინისტრაციისა და საგანმანათლებლო ერთეულის ხელმძღვანელი, ასევე უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები, დაინტერესებული სტუდენტები და დამსაქმებლები.

სტრატეგიული გეგმის საწყის ეტაპზე სამუშაო ჯგუფის მიერ კეთდება უნივერსიტეტის არსებული სიტუაციური ანალიზი (SWOT ანალიზი). სიტუაციური ანალიზით განისაზღვრება უნივერსიტეტის სუსტი მხარეები და უნივერსიტეტის შესაძლებლობები. SWOT ანალიზის საფუძველზე უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეული ახდენს თავიანთი ერთეულების განვითარების სტრატეგიის შემუშავებას, რომლის წარდგენაც ხდება სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფისათვის.

სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმის საფუძველზე ხდება უნივერსიტეტის ძირითადი სტრატეგიული მიმართულებების, მიმართულებების შესაბამისად მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა, რის შემდეგაც მომუშავე ჯგუფი შეიმუშავებს სტრატეგიული გეგმის სამუშაო ვერსიას. გეგმის სამუშაო ვერსია შესაფასებლად იგზავნება სტუდენტური თვითმმართველობის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლებთან და დამსაქმებელთან. შეფასების შედეგების გათვალისწინებით ხდება სტრატეგიული გეგმის და 3 წლიანი სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსიის შემუშავება. სამოქმედო გეგმაში კონკრეტულად განისაზღვრება ამოცანების შესრულების ვადები და შესრულების ინდიკატორები, ასევე განისაზღვრება ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსიები წარედგინება აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.



სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი:

ბაუს საერთაშორისო უნივერსიტეტი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისთვის იყენებს ანგარიშგების მეთოდს. კერძოდ, ყოველი სემესტრის დასაწყისში ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების და საგანმანათლებლო ერთეულის მიერ ხდება სემესტრული სამოქმედო გეგმების შედგენა, რომლის ანგარიშს წარადგენენ ყოველის სემესტრის ბოლოს. სემესტრული სამოქმედო გეგმის ანგარიში აუცილებლად უნდა მოიცავდეს სტრატეგიული და 3 წლიანი სამოქმედო გეგმით შესასრულებელ ამოცანებს, ასევე იმ ოპერატიულ ამოცანებს, რომლის შესრულებაც დაგეგმილია ყოველი კონკრეტული სემესტრისთვის.

საგანმანათლებლო ერთეულის (ფაკულტეტის) ყოველსემესტრული სამოქმედო გეგმის შედგენა ხდება აკადემიური პერსონალის ჩართულობით, რომელიც ყოველსემესტრულ ანგარიშს წარუდგენს საგანმანათლებლო ერთეულის ხელმძღვანელს -დეკანს. დეკანის თავის მხრივ ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე, ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულები ყოველსემესტრულ სამოქმედო გეგმას და სამოქმედო გეგმის ანგარიშს წარუდგენენ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რომელიც თავის მხრივ ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე.

ადმინისტრაციის და საგანმანათლებლო ერთეულის ხელმძღვანელები სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს ახორციელებენ ყოველსემესტრულად, ხოლო რექტორი გეგმების შესრულების მონიტორინგს ახორციელებს აღნიშნული ერთეულების ხელმძღვანელების ყოველწლიური ანგარიშების საფუძველზე .

სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგების დასახულ მიზნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში რექტორი იღებს გადაწყვეტილებას ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით შექმნას სტრატეგიულ გეგმის მონიტორინგის ოპერატიული ჯგუფი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციებისა და რეკომენდაციების საფუძველზე განახორციელებს ცვლილებებს სტრატეგიულ ან/და სამოქმედო გეგმაში. ცვლილებების შებამისად შესაძლებელია მოხდეს სტრატეგიული მიზნის დაკონკრეტება/კორექტირება ან მისი შესრულების ვადის შეცვლა.

სტრატეგიული გეგმის შესრულების მესამე წლის ბოლოს რექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით იქმნება სტრატეგიული გეგმაზე მომუშავე მონიტორინგის ჯგუფი. მონიტორინგის ჯგუფის დაკომპლექტება ხდება უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული და მმართველი ერთეულის ხელმძღვანელებით, ასევე სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებით. ჯგუფი განიხილავს სტრატეგიული გეგმის შესრულების მიმდინარეობას და საჭიროების შემთხვევაში ერთობლივი კონსულტაციებისა და რეკომენდაციების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას სტრატეგიული მიზნის დამატების ან არსებული მიზნის გეგმიდან ამოღების შესახებ, თუ ეს მიზანი აღარ არის აქტუალური ან მისი მიღწევა ფაქტობრივად შეუძლებელია.

სტრატეგიული გეგმაში შესატანი ცვლილებები საბოლოოდ მტკიცდება აკადემიური საბჭოს მიერ.

ძლიერი მხარეები

1. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა.
2. სტაბილური დაფინანსება პარტნიორების მხრიდან.
3. საბაზრო მოთხოვნებზე დაყრდნობით შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა.
4. განვითარებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ლაბორატორიები, ანატომიური კაბინეტი და აუდიტორიები, ასევე მდიდარი ბიბლიოთეკა.
5. უცხო ენის მცოდნე ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი.
6. მულტინაციონალური აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი.
7. სტუდენტთა მულტინაციონალური კონტიგენტი.
8. სტაბილურად ზრდადი სტუდენტთა რაოდენობა.

შესაძლებლობები

1. კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრის განვითარება და მის ბაზაზე OSCE (ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა) საგამოცდო ცენტრის ჩამოყალიბება
2. ახალი პროფესიული და სამაგისტრო პროგრამების შემუშავება
3. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება
4. სტუდენტების რაოდენობის ზრდა
5. უცხოურ და ადგილობრივ უნივერსიტეტებთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა
6. ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება
7. საერთაშორისო კვლევით და საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობა
8. ინფრასტრუქტურის განვითარება
9. სტუდენტთა კმაყოფილების დონის ზრდა
10. ცნობადობის გაზრდა


უნივერსიტეტის შიდა ანალიზი

სუსტი მხარეები

1. დაბალი ცნობადობა
2. მრავალფეროვანი პროგრამების სიმცირე
3. დონორ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობის სიმცირე
4. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სიმცირე
5. ქართველი სტუდენტების მცირე რაოდენობა
6. კლინიკური ბაზების სიმცირე
7. საგამოცდო ცენტრის არ არსებობა
8. სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის არ არსებობა
9. სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის არ არსებობა
10. უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული მცირე ფართი

საფრთხეები

1. ეროვნული გამოცდებით დაგეგმილი კონტიგენტის მიუღებლობა
2. უცხოელი სტუდენტების ნაკადის შემცირება
3. უცხოური, მსგავსი პროფილის უნივერსიტეტის შემოსვლა რეგიონურ ბაზარზე
4. სტუდენტთა და მშობელთა უკმაყოფილების ზრდა



სტრატეგიული მიმართულებები:

1. სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესების განვითარება;
2. ორგანიზაციული განვითარება;
3. ინფრასტრუქტურის განვითარება.

ბაუს საერთაშორისო უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთ მიმდინარე მიმართულებას წარმოადგენს საუნივერსიტეტო განათლების განვითარება, რომელიც თავის მხრივ მოიაზრებს ისეთი კომპონენტების განვითარებას, როგორებიცაა: სასწავლო პროგრამები, სამეცნიერო კვლევები, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, სტუდენტზე და პერსონალზე ორიენტირებული გარემო.

სასწავლო პროგრამების განვითარების მხრივ აღსანიშნავია ახალი პროფესიული და სამაგისტრო მიმართულებების ამოქმედება, რომელიც უზრუნველყოფს შრომის ბაზარზე არსებული გამოწვევების შესაბამისი კომპეტენტური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადებას.

სტრატეგიულ გეგმაში ერთ-ერთ აქტუალურ მიმართულებას წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევითი მიმართულება. უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს კვლევითი და პრაქტიკული გამოცდილების ინტეგრაციას თეორიული სწავლების პროცესში, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაახლოებას. საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო კვლევითი მიმართულების განვითარებისთვის აუცილებელია ხარისხის მუდმივი მონიტორინგი, რომელიც შეუძლებელია განხორციელდეს ეფექტური ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის

გარეშე, აქედან გამომდინარე უნივერსიტეტის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერება, შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმების დახვეწა. უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის კვალიფიკაციის ამაღლების და ნახალისების მექანიზმების დანერგვა წარმოადგენს სტრატეგიული მიმართულების განუყოფელ ნაწილს. მსგავსი მექანიზმების დანერგვა ხელს შეუწყობს შრომის ბაზარზე არსებულ შესაბამისი კომპეტენციების მქონე აკადემიური და ადმინისტრაციული კადრები მოზიდვას, რაც თავის მხრივ მდგრადი და კონკურენტუნარიანი საგანმანათლებლო პროგრამის მაჩვენებელია.

განათლების განვითარების სტრატეგიული მიმართულების მიზანია საგანმანათლებლო პროგრამების მიღმა უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტთა მისწრაფებების რეალიზება სხვადასხვა საგანმანათლებლო-მეცნიერებითი, სპორტული ღონისძიებების და სხვა პროექტების მეშვეობით, რომელიც დაეხმარება მათ ლიდერული და სხვა საჭირო უნარჩვევების განვითარებაში, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს მათ კარიერულ წინსვლას და დასაქმებას შრომის ბაზარზე.

მიზნები	როგორ მივაღწიოთ მიზანს?
1. სასწავლო პროგრამების განვითარება	<ul style="list-style-type: none"> - არსებული პროგრამების დახვეწა და უმაღლესი განათლების მედიცინის ახალ დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანა - არსებული პროგრამის საერთაშორისო აკრედიტაცია - ახალი ერთსაფეხურიანი, პროფესიული და სამაგისტრო პროგრამების მომზადება აკრედიტაციისთვის. - საზღვრულ და ზამთრის სკოლების ამოქმედება - დისტანციური სასწავლო კურსების დანერგვა - ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა საქართველოს სივრცეში არსებულ უნივერსიტეტებთან - ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა უცხოურ უნივერსიტეტებთან
2. სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების განვითარება	<ul style="list-style-type: none"> - სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგიის შემუშავება - კვლევითი პროექტების ინიცირება და მათი დაფინანსების წყაროების მოძიება - კვლევის საგანმანათლებლო პროცესში ინტეგრაციის უზრუნველყოფა - კვლევითი მუშაობის ნახალისება - აფილირებულ კლინიკასთან, პარტნიორ უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან სამეცნიერო-კვლევითი თანამშრომლობის გაფართოება - ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება; - ანტიპლაგიატის სისტემის დანერგვა
3. სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს განვითარება	<ul style="list-style-type: none"> - სტუდენტთა მომსახურების სამსახურის დახვეწა/განვითარება - კარიერული განვითარების სერვისის სტრატეგიის შემუშავება და განვითარება - უწყვეტის განათლების ცენტრის სტრატეგიის შემუშავება და განვითარება - აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრის ჩამოყალიბება - სტუდენტებისათვის მრავალფეროვანი აკადემიური, სოციალური, კულტურული და სპორტული აქტივობების შეთავაზება - სტუდენტური თვითმმართველობის ფინანსური მხარდაჭერა - გაცვლით პროგრამებში სტუდენტების მონაწილეობის უზრუნველყოფა - დამსაქმებელთან თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება და განხორციელება
4. პერსონალზე ორიენტირებული გარემოს განვითარება	<ul style="list-style-type: none"> - აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა - გამოცდილების მიღებისა და გაზიარების მიზნით პერსონალის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის უზრუნველყოფა - პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის მექანიზმების შემუშავება და განხორციელება
5. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება	<ul style="list-style-type: none"> - ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში არსებული პრობლემების გამოვლენა - პრობლემების აღმოსაფხვრელად შესაბამისი მექანიზმების და რეკომენდაციების შემუშავება - ხარისხის მართვის ერთიანი კომპლექსური სახელმძღვანელოს შექმნა - სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმების შემუშავება - საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მექანიზმების შემუშავება - ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე მუდმივი ზრუნვა - ხარისხის კულტურის დამკვიდრების ხელშეწყობა
6. ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა	<ul style="list-style-type: none"> - სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მოზიდავის პროექტებში ჩართვის უზრუნველყოფა - საერთაშორისო კვლევებში ჩართულობის უზრუნველყოფა - უცხოელი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მოზიდვის, შენარჩუნების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფა - აკადემიური პერსონალის ინტერნაციონალიზაციის პროცესისათვის აუცილებელი კომპეტენციების გაზრდა

სტრატეგიული მიმართულების შედეგი:

საერთაშორისო და ადგილობრივ ბაზარზე კონკურენტუნარიანი და კვლევებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალკვალიფიციური და საგანმანათლებლო მოთხოვნების შესაბამისი სპეციალისტის მომზადებას.

სტრატეგიული მიმართულება 2: ორგანიზაციული განვითარება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციული ეფექტურობის მისაღწევად აუცილებელია შიდა ორგანიზაციული დაგეგმარება, რომელიც თავისთავში მოიცავს უნივერსიტეტის სტრუქტურული განვითარების დაგეგმვას. სტრუქტურული განვითარების დაგეგმვისა და ჩამოყალიბების შემდეგ განახლებული სტრუქტურის მიხედვით განხორციელდება შინაგანაწესის და სტრუქტურულ ერთეულთა საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტების განახლება, სამუშაო აღწერილობების შემუშავება და სხვა. ორგანიზაციული განვითარების თვალსაზრისით უნივერსიტეტს დასახული აქვს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული საქმიანობის მომწესრიგებელი და მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების შემუშავება და განახლება, მათ შორის უნივერსიტეტის წესდების განახლება. უნივერსიტეტის როლის განვითარებისთვის აუცილებელია ბაუს საერთაშორისო უნივერსიტეტმა

თავისი წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებასა და ცოდნის გაზიარებაში, რისთვისაც მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების განხორციელება, როგორებიცაა სოციალური და გარემოსდაცვითი პროექტები, ტრენინგები, კონფერენციები, სამუშაო შეხვედრები და სხვა. ასევე მნიშვნელოვანია პარტნიორობის გაძლიერება სხვადასხვა ინსტიტუციებთან, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. უნივერსიტეტის როლის განვითარება მიიღწევა მისი ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებით, რაც შეუძლებელი იქნება ფინანსური დაგეგმარების დახვეწის გარეშე. ფინანსური რესურსების სწორი დაგეგმარების და ფინანსური მდგრადობის შენარჩუნების მიზნით უნივერსიტეტმა უნდა განავითაროს ფინანსური სტრატეგია, რომელიც თავის მხრივ მისცემს უნივერსიტეტს მოკლე და გრძელვადიანი ფინანსური პროგნოზების შემუშავების საშუალებას.

მიზნები	როგორ მივაღწიოთ მიზანს?
1. უნივერსიტეტის პროცედურული განვითარება	<ul style="list-style-type: none"> - ახალი სტრუქტურული ერთეულების ჩამოყალიბება - სტრუქტურულ ერთეულთა საქმიანობის განვითარება მარეგულირებელი დოკუმენტების განახლება - სამუშაო აღწერილობების განახლება/შემუშავება და ეფექტურობის მონიტორინგი - უნივერსიტეტის ადმინისტრაციული საქმიანობის მომწესრიგებელი სხვა სამართლებრივი აქტების განახლება
2. უნივერსიტეტის ცნობადობისა და სოციალური როლის გაზრდა	<ul style="list-style-type: none"> - ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე პარტნიორობის განვითარება - სამიზნე ქვეყნების აღიარებულ უნივერსიტეტთა ნუსხაში მოხვედრა - სოციალურ პროექტებში ჩართვა (ქველმოქმედება) - კონფერენციების, ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზება
3. ფინანსური დაგეგმარების დახვეწა	<ul style="list-style-type: none"> - ფინანსური სტრატეგიის შემუშავება - ფინანსური მდგრადობის მუდმივი შეფასება - მოკლე და გრძელვადიანი ფინანსური პროგნოზების შემუშავება

სტრატეგიული მიმართულების
შედეგი:

საერთაშორისო, ეროვნული და რეგიონალური მასშტაბით მაღალი სტანდარტების მქონე უნივერსიტეტის რეპუტაცია.

სტრატეგიული მიმართულება 3: ინფრასტრუქტურის განვითარება

ბაუს საერთაშორისო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. იგი უქმნის სტუდენტებს კომფორტულ გარემოს ხარისხიანი სწავლების მისაღებად, თუმცა უნივერსიტეტის მიზანს წარმოადგენს მაქსიმალურად დააკმაყოფილოს თანამედროვე სასწავლო ბაზრის მოთხოვნები, რისთვისაც მნიშველოვანია არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და კამპუსის განვითარება. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების მხრივ აღსანიშნავია სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიების განვითარება, რაც მისცემს როგორც სტუდენტებს, ასევე აკადემიურ პერსონალს ხარისხიანი კვლევების ჩატარების საშუალებას.

უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ბიბლიოთეკის განვითარება. აღნიშნული სტრატეგიული მიმართულების ძირითად მიზანს წარმოადგენს საბიბლიოთეკო ფონდის გამდიდრება ახალი ციფრული და ბეჭდური გამოცემებით, სამკითხველო დარბაზის გაფართოება, წიგნადი ფონდის აღწერისა და კოდირების თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების (RDA და MARC21) დანერგვა. კამპუსის განვითარების მხრივ აღსანიშნავია უნივერსიტეტში საერთო საცხოვრებლის მშენებლობა, აუცილებელია ასევე სარეკრეაციო და კულტურული სივრცეების ამოქმედება, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნებას.

მიზნები	როგორ მივაღწიოთ მიზანს?
1. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება	<ul style="list-style-type: none"> - სამეცნიერო/კვლევითი ლაბორატორიების განვითარება - უნარ-ჩვევებისა და საგამოცდო ცენტრის განვითარება - საბიბლიოთეკო ფონდის მუდმივი განახლება, როგორც წიგნებით და ასევე ელექტრონული რესურსებით - წიგნადი ფონდის აღწერისა და კოდირების თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების (RDA და MARC21) დანერგვა - სამკითხველო დარბაზის გაფართოება - ადგილობრივ და საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელებში განვითარება. - სამეცნიერო ელექტრონული ბაზების შესყიდვა.
2. კამპუსის განვითარება	<ul style="list-style-type: none"> - სტუდენტური საერთო საცხოვრებლის ამოქმედება - სარეკრეაციო და კულტურული სივრცეების ამოქმედება - მშენებელი შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებზე მორგებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

სტრატეგიული მიმართულების შედეგი:

სწავლა-სწავლების, კვლევისა და სტუდენტური ცხოვრების მოთხოვნების შესაბამისად განვითარებული ინფრასტრუქტურა.



სტრატეგიული გეგმის განმახორციელებლები

განვითარების სტრატეგიული გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის საჭიროა ისეთი მნიშვნელოვანი რესურსების გამოყენება, როგორებიცაა: უნივერსიტეტის მატერიალური რესურსი (აუდიტორიები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა), ადამიანური რესურსი (ადმინისტრაციული, აკადემიური და დამხმარე პერსონალი) და ფინანსური რესურსი (სწავლების გადასახადი, ფართის გაქირავებით მიღებული შემოსავალი).

შესრულების პერიოდი

მიზნები	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024
სტრატეგიული მიმართულება 1. სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესის განვითარება							
1. სასწავლო პროგრამების განვითარება							
არსებული პროგრამის დახვეწა და უმაღლესი განათლების მედიცინის ახალ დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანა							
არსებული პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაცია							
ახალი ერთსაფეხურიანი, პროფესიული და სამაგისტრო პროგრამების მომზადება აკრედიტაციისთვის							
საზაფხულო და ზამთრის სკოლების ამოქმედება							
დისტანციური სასწავლო კურსების დანერგვა							
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა საქართველოს სივრცეში არსებულ უნივერსიტეტებთან							
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა უცხოურ უნივერსიტეტებთან							
2. სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების განვითარება							
სამეცნიერო-კვლევით სტრატეგიის შემუშავება							
კვლევითი პროექტების ინიცირება და მათი დაფინანსების წყაროების მოძიება							
კვლევის საგანმანათლებლო პროცესში ინტეგრაციის უზრუნველყოფა							
კვლევითი მუშაობის წახალისება							
აფილირებულ კლინიკასთან, პარტნიორ უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან სამეცნიერო-კვლევითი თანამშრომლობის გაფართოება							
ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება;							
ანტიპლაგიატის სისტემის დანერგვა							
3. სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს განვითარება							
სტუდენტთა მომსახურების სამსახურის დახვეწა/განვითარება							

მიზნები	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024
კარიერული განვითარების სერვისის სტრატეგიის შემუშავება და განვითარება							
აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრის ჩამოყალიბება							
სტუდენტებისათვის მრავალფეროვანი აკადემიური, სოციალური, კულტურული და სპორტული აქტივობების შეთავაზება							
სტუდენტური თვითმმართველობის ფინანსური მხარდაჭერა							
გაცვლით პროგრამებში სტუდენტების მონაწილეობის უზრუნველყოფა							
დამსაქმებელთან თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება და განხორციელება							
უწყვეტის განათლების ცენტრის სტრატეგიის შემუშავება და განვითარება							
4. პერსონალზე ორიენტირებული გარემოს განვითარება							
აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა							
გამოცდილების მიღებისა და გაზიარების მიზნით პერსონალის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის უზრუნველყოფა							
პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის მექანიზმების შემუშავება და განვითარება							
5. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება							
ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში არსებული პრობლემების გამოვლენა							
პრობლემების აღმოსაფხვრელად შესაბამისი მექანიზმების და რეკომენდაციების შემუშავება							
ხარისხის მართვის ერთიანი კომპლექსური სახელმძღვანელოს შექმნა							
სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმების შემუშავება							
საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მექანიზმების შემუშავება							
ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე მუდმივი ზრუნვა							
ხარისხის კულტურის დამკვიდრების ხელშეწყობა							
6. ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა							
სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მოზილობის პროექტებში ჩართვის უზრუნველყოფა							

მიზნები	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024
საერთაშორისო კვლევებში ჩართულობის უზრუნველყოფა							
უცხოელი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მოზიდვის, შენარჩუნების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფა							
აკადემიური პერსონალის ინტერნაციონალიზაციის პროცესისათვის აუცილებელი კომპეტენციების გაზრდა							
სტრატეგიული მიმართულება: 2 ორგანიზაციული განვითარება							
1. უნივერსიტეტის პროცედურული განვითარება							
ახალი სრულყოფილი ერთეულების ჩამოყალიბება							
სტრუქტურულ ერთეულთა საქმიანობის განვითარება, მარეგულირებელი დოკუმენტების განახლება							
სამუშაო აღწერილობების განახლება/შემუშავება და ეფექტურობის მონიტორინგი							
უნივერსიტეტის ადმინისტრაციული საქმიანობის მომწესრიგებელი სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისობაში მოყვანა							
2. უნივერსიტეტის ცნობადობისა და სოციალური როლის გაზრდა							
ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე პარტნიორობის განვითარება							
სამიზნე ქვეყნების აღიარებულ უნივერსიტეტთან ნუსხაში მოხვედრა							
სოციალურ პროექტებში ჩართვა (ქველმოქმედება)							
კონფერენციების, ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზება							
3. ფინანსური დაგეგმარების დახვეწა							
ფინანსური სტრატეგიის შემუშავება							
ფინანსური მდგრადობის მუდმივი შეფასება							
მოკლე და გრელვადიანი ფინანსური პროგნოზების შემუშავება							
სტრატეგიული მიმართულება 3. ინფრასტრუქტურის განვითარება							
1. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება							
სამეცნიერო/კვლევითი ლაბორატორიების განვითარება							
უნარ-ჩვევების და საგამოცდო ცენტრის განვითარება							

მიზნები	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024
საბიბლიოთეკო ფონდის მუდმივი განახლება, როგორც წიგნებით და ასევე ელექტრონული რესურსებით							
წიგნადი ფონდის აღწერისა და კოდირების თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების (RDA და MARC21) დანერგვა							
სამკითხველო დარბაზის გაფართოება							
ადგილობრივ და საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელებში გაწევრიანება.							
სამეცნიერო ელექტრონული ბაზების შესყიდვა.							
2. კამპუსის განვითარება							
სტუდენტური საერთო საცხოვრებლის ამოქმედება							
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებზე მორგებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება							
სარეკრეაციო და კულტურული სივრცეების ამოქმედება							

მონიტორინგისა და შეფასების გეგმა

მიზანი	ინდიკატორი	ინდიკატორის განზომილება	ინფორმაციის წყარო	მონიტორინგის პერიოდულობა	პასუხისმგებელი ერთეული
სტრატეგიული მიმართულება 1: სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესის განვითარება, 1.სასწავლო პროგრამების განვითარება					
არსებული პროგრამის დახვეწა და უმაღლესი განათლების მედიცინის ახალ დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანა	მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა მოყვანილია ახალ დარგობრივ მახასიათებელთან	ხარისხობრივი კი/არა	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	პროექტის მიმდინარეობისას და დასრულებისას 2019 წლის იანვარი	მედიცინის ფაკულტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია
არსებული პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაცია	მიღებულია საერთაშორისო აკრედიტაცია	ხარისხობრივი კი/არა	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	პროექტის დასრულებისას	მედიცინის ფაკულტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
ახალი ერთსაფეხურიანი, პროფესიული და სამაგისტრო პროგრამების მომზადება აკრედიტაციისთვის	მიღებულია პროფესიული პროგრამის განხორციელების უფლება და მიღებულია აკრედიტაცია	ხარისხობრივი კი/არა	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	პროექტის დასრულებისას	მედიცინის ფაკულტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
საზაფხულო და ზამთრის სკოლების ამოქმედება	ამოქმედებულია საზაფხულო და ზამთრის სკოლა	ხარისხობრივი კი/არა	უნივერსიტეტის თანამშრომლები, სკოლაში ჩართული პირები	პროექტის დასრულებისას	მედიცინის ფაკულტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა საქართველოს სივრცეში არსებულ უნივერსიტეტებთან	ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია და პროგრამების ამოქმედება	ხარისხობრივი კი/არა	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	პროექტის დასრულებისას	ფაკულტეტი, ხარისხის უზრ.სამსახური, ადმინისტრაცია
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა უცხოურ უნივერსიტეტებთან	ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაცია და განხორციელება	ხარისხობრივი კი/არა	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, პროექტში ჩართული უცხოური უნივერსიტეტი	პროექტის დასრულებისას	ხარისხის უზრ.სამსახური, ადმინისტრაცია
2.სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების განვითარება					
სამეცნიერო-კვლევით სტრატეგიის შემუშავება	მოქმედებს სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგია	ხარისხობრივი კი/არა	უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგები	პროექტის დასრულებისას	მედიცინის ფაკულტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

მიზანი	ინდიკატორი	ინდიკატორის განზომილება	ინფორმაციის წყარო	მონიტორინგის პერიოდულობა	პასუხისმგებელი ერთეული
კვლევითი პროექტების ინიცირება და მათი დაფინანსების წყაროების მოძიება	მომზადდა და წარდგენილია დაფინანსების მოსაპოვებლად კვლევითი პროექტები	რაოდენობრივი /რიცხვი	დამფინანსებელი ორგანიზაცია	მუდმივ რეჟიმში	მედიცინის ფაკულტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
კვლევის საგანმანათლებლო პროცესში ინტეგრაციის უზრუნველყოფა	მიმდინარე კვლევა და კვლევის შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას, სტუდენტები ჩართულნი არიან კვლევაში	ხარისხობრივი კი/არა	სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები, გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან	პროექტის მიმდინარეობისას	მედიცინის ფაკულტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
კვლევითი მუშაობის წახალისება	გამოყოფილია და მოპოვებულია შიდასაუნივერსიტეტო გრანტები კვლევითი პროექტების დასაფინანსებლად	ხარისხობრივი კი/არა	საფინანსო-ეკონომიკური სამსახური, კვლევებში ჩართული პერსონალი	დაფინანსების მოსაპოვებლად გამოცხადებული კონკურსის დასრულებისას	მედიცინის ფაკულტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
აფილირებულ კლინიკასთან, პარტნიორ უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან სამეცნიერო-კვლევითი თანამშრომლობის გაფართოება	განხორციელებულია ერთობლივი კვლევითი პროექტები	ხარისხობრივი კი/არა	აფილირებული კლინიკის ადმინისტრაცია, კვლევითი ცენტრების ადმინისტრაცია, აკადემიური პერსონალი	პროექტის დასრულებისას	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადმინისტრაცია, მედიცინის ფაკულტეტი
ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება	ორგანიზებულია და ჩატარებულია კონფერენცია/ტრენინგი	ხარისხობრივი კი/არა	კონფერენციის ორგანიზატორები, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია	პროექტის დასრულებისას	ადმინისტრაცია, მედიცინის ფაკულტეტი
ანტიპლაგიატის სისტემის დანერგვა	ამოქმედებულია ანტიპლაგიატის პროგრამა	ხარისხობრივი კი/არა	უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი	პროექტის მიმდინარეობისას	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადმინისტრაცია, მედიცინის ფაკულტეტი
3.სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს განვითარება					
სტუდენტთა მომსახურების სამსახურის დახვეწა/განვითარება	შემუშავებულია სტუდენტთა მომსახურების სამსახურის ახალი დებულება	ხარისხობრივი კი/არა	სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები	პროექტის დასრულებისას	ადმინისტრაცია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
კარიერული განვითარების სერვისის სტრატეგიის შემუშავება და განვითარება	შემუშავებულია სტრატეგია და ამოქმედებულია კარიერული განვითარების სერვისი	ხარისხობრივი კი/არა	უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები	პროექტის დასრულებისას	ადმინისტრაცია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

მიზანი	ინდიკატორი	ინდიკატორის განხორციელება	ინფორმაციის წყარო	მონიტორინგის პერიოდულობა	პასუხისმგებელი ერთეული
აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრის ჩამოყალიბება	ამოქმედებულია აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრი	ხარისხობრივი კი/არა	უნივერსიტეტის თანამშრომლების გამოკითხვის შედეგები	პროექტის დასრულებისას	ადმინისტრაცია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
სტუდენტებისათვის მრავალფეროვანი აკადემიური, სოციალური, კულტურული და სპორტული აქტივობების შეთავაზება	სტუდენტებისათვის ტარდება სხვადასხვა სახის აქტივობები	ხარისხობრივი კი/არა	უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები	მუდმივ რეჟიმში	ადმინისტრაცია
სტუდენტური თვითმმართველობის ფინანსური მხარდაჭერა	სტუდენტური თვითმმართველობისათვის გამოყოფილია ფინანსური რესურსები	ხარისხობრივი კი/არა	უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები, დირექტორის განკარგულება რესურსების გამოყოფის თაობაზე	ყოველწლიურად	ადმინისტრაცია
გაცვლით პროგრამებში სტუდენტების მონაწილეობის უზრუნველყოფა	სტუდენტები ჩართულნი არიან საერთაშორისო მობილობის პროექტებში	რაოდენობრივი / რიცხვი	სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები,	მუდმივ რეჟიმში	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადმინისტრაცია, მედიცინის ფაკულტეტი
დამსაქმებელთან თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება და განხორციელება	გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი	ხარისხობრივი კი/არა	უნივერსიტეტის თანამშრომლების გამოკითხვის შედეგები	მუდმივ რეჟიმში	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადმინისტრაცია, მედიცინის ფაკულტეტი
უწყვეტის განათლების ცენტრის სტრატეგიის შემუშავება და განვითარება	ფუნქციონირებს უწყვეტი განათლების ცენტრი და შემუშავებულია უწყვეტი განათლების ცენტრის სტრატეგია	ხარისხობრივი კი/არა	უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები,	პროექტის დასრულებისას	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადმინისტრაცია, მედიცინის ფაკულტეტი
4. პერსონალზე ორიენტირებული გარემოს განვითარება					
აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა	კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით პერსონალს გავლილი აქვს ტრენინგი სხვადასხვა მიმართულებით	ხარისხობრივი კი/არა	უნივერსიტეტის თანამშრომლების გამოკითხვის შედეგები	მუდმივ რეჟიმში	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადმინისტრაცია, მედიცინის ფაკულტეტი
გამოცდილების მიღებისა და გაზიარების მიზნით პერსონალის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის უზრუნველყოფა	პერსონალი ჩართულია საერთაშორისო გაცვლით პროექტებში	რაოდენობრივი / რიცხვი	უნივერსიტეტის თანამშრომლების გამოკითხვის შედეგები	მუდმივ რეჟიმში	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადმინისტრაცია, მედიცინის ფაკულტეტი

მიზანი	ინდიკატორი	ინდიკატორის განზომილება	ინფორმაციის წყარო	მონიტორინგის პერიოდულობა	პასუხისმგებელი ერთეული
პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის მექანიზმების შემუშავება და განვითარება	შემუშავებულია პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის კითხვარები	ხარისხობრივი კი/არა	უნივერსიტეტის თანამშრომლების გამოკითხვის შედეგები	ყოველწლიურად	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
5. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება					
ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში არსებული პრობლემების გამოვლენა	იდენტიფიცირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში არსებული ხარვეზები	ხარისხობრივი კი/არა	უნივერსიტეტის თანამშრომლების გამოკითხვის შედეგები	მუდმივ რეჟიმში	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
პრობლემების აღმოსაფხვრელად შესაბამისი მექანიზმების და რეკომენდაციების შემუშავება	შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში არსებული ხარვეზების გამოსწორების მექანიზმები (დოკუმენტური სახით)	ხარისხობრივი კი/არა	უნივერსიტეტის თანამშრომლების გამოკითხვის შედეგები	პროექტის დასრულებისას	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
ხარისხის მართვის ერთიანი კომპლექსური სახელმძღვანელოს შექმნა	შექმნილია და დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გაიდლაინი	ხარისხობრივი კი/არა	უნივერსიტეტის თანამშრომლების გამოკითხვის შედეგები	პროექტის დასრულებისას	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმების შემუშავება	შემუშავებულია სტუდენტის აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი	ხარისხობრივი კი/არა	უნივერსიტეტის თანამშრომლების და სტუდენტების გამოკითხვის შედეგები	პროექტის დასრულებისას	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მექანიზმების შემუშავება	შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა	ხარისხობრივი კი/არა	უნივერსიტეტის თანამშრომლების გამოკითხვის შედეგები	პროექტის დასრულებისას	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე მუდმივი ზრუნვა	ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება	ხარისხობრივი კი/არა	უნივერსიტეტის თანამშრომლების გამოკითხვის შედეგები	მუდმივ რეჟიმში	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
ხარისხის კულტურის დამკვიდრების ხელშეწყობა	შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა ინდიკატორები	ხარისხობრივი კი/არა	უნივერსიტეტის თანამშრომლების გამოკითხვის შედეგები	მუდმივ რეჟიმში	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
6. ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა					

მიზანი	ინდიკატორი	ინდიკატორის განზომილება	ინფორმაციის წყარო	მონიტორინგის პერიოდულობა	პასუხისმგებელი ერთეული
სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მოზილობის პროექტებში ჩართვის უზრუნველყოფა	სტუდენტები და პერსონალი ჩართულნი არიან საერთაშორისო გაცვლით პროექტებში	ხარისხობრივი კი/არა	უნივერსიტეტის თანამშრომლების და სტუდენტების გამოკითხვის შედეგები	მუდმივ რეჟიმში	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადმინისტრაცია, მედიცინის ფაკულტეტი
საერთაშორისო კვლევებში ჩართულობის უზრუნველყოფა	პერსონალი და სტუდენტები ჩართულნი არიან საერთაშორისო კვლევებში	ხარისხობრივი კი/არა	უნივერსიტეტის თანამშრომლების და სტუდენტების გამოკითხვის შედეგები	პროექტის დასრულებისას	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადმინისტრაცია, მედიცინის ფაკულტეტი
უცხოელი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მოზიდვის, შენარჩუნების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფა	საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი არიან უცხოელი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი	ხარისხობრივი კი/არა	უნივერსიტეტის თანამშრომლების და სტუდენტების გამოკითხვის შედეგები	მუდმივ რეჟიმში	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადმინისტრაცია, მედიცინის ფაკულტეტი
აკადემიური პერსონალის ინტერნაციონალიზაციის პროცესისათვის აუცილებელი კომპეტენციების გაზრდა	აკადემიური პერსონალს გავლილი აქვს უცხო ენის ცოდნის გადრმავეების მიზნით ტრენინგი	ხარისხობრივი კი/არა	უნივერსიტეტის თანამშრომლების გამოკითხვის შედეგები	პროექტის დასრულებისას	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადმინისტრაცია, მედიცინის ფაკულტეტი
სტრატეგიული მიმართულება: 2 ორგანიზაციული განვითარება 1. უნივერსიტეტის პროცედურული განვითარება					
ახალი სტრუქტურული ერთეულების ჩამოყალიბება	შექმნილია ახალი სტრუქტურული ერთეულები	ხარისხობრივი კი/არა	მარეგულირებელი დოკუმენტაცია	პროექტის დასრულებისას	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადმინისტრაცია
სტრუქტურულ ერთეულთა საქმიანობის განვითარება, მარეგულირებელი დოკუმენტების განახლება	დამტკიცებულია სტრუქტურ ერთეულთა განახლებული დებულებები	ხარისხობრივი კი/არა	უნივერსიტეტის თანამშრომლების გამოკითხვის შედეგები	პროექტის დასრულებისას	ადმინისტრაცია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
სამუშაო აღწერილობების განახლება/შემუშავება	დამტკიცებულია სამუშაო აღწერილობები	ხარისხობრივი კი/არა	მარეგულირებელი დოკუმენტაცია	პროექტის დასრულებისას	ადმინისტრაცია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
უნივერსიტეტის ადმინისტრაციული საქმიანობის მომწესრიგებელი სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისობაში მოყვანა	შემუშავებულია და დამტკიცებულია ადმინისტრაციული საქმიანობის მომწესრიგებელი დოკუმენტაცია	ხარისხობრივი კი/არა	უნივერსიტეტის თანამშრომლების გამოკითხვის შედეგები	პროექტის დასრულებისას	ადმინისტრაცია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

მიზანი	ინდიკატორი	ინდიკატორის განზომილება	ინფორმაციის წყარო	მონიტორინგის პერიოდულობა	პასუხისმგებელი ერთეული
2. უნივერსიტეტის ცნობადობისა და სოციალური როლის გაზრდა					
ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე პარტნიორობის განვითარება	გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმები	რაოდენობრივი / რიცხვი	თანამშრომელთა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები	მუდმივ რეჟიმში	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადმინისტრაცია, მედიცინის ფაკულტეტი
სამიზნე ქვეყნების აღიარებულ უნივერსიტეტთა ნუსხაში მოხვედრა	უნივერსიტეტი მოხვედრილია სამიზნე ქვეყნების მიერ აღიარებულ უნივერსიტეტთა ნუსხაში	რაოდენობრივი / რიცხვი	სამიზნე ქვეყნების აღიარებულ უნივერსიტეტთა ნუსხა	პროექტის დასრულებისას	ადმინისტრაცია
სოციალურ პროექტებში ჩართვა (ქველმოქმედება)	უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულია საქველმოქმედო და სოციალური პროექტები	ხარისხობრივი კი/არა	თანამშრომელთა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები	პროექტის დასრულებისას	ადმინისტრაცია, მედიცინის ფაკულტეტი
კონფერენციების, ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზება	ორგანიზებულია კონფერენციები, ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები	ხარისხობრივი კი/არა	სხადახვა საინფორმაციო წყარო, თანამშრომელთა გამოკითხვის შედეგები	პროექტის დასრულებისას	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადმინისტრაცია, მედიცინის ფაკულტეტი
3. ფინანსური დაგეგმარების დახვეწა					
ფინანსური სტრატეგიის შემუშავება	უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ფინანსური სტრატეგია	ხარისხობრივი კი/არა	თანამშრომელთა გამოკითხვის შედეგები	პროექტის დასრულებისას	ადმინისტრაცია
ფინანსური მდგრადობის მუდმივი შეფასება	ჩატარებულია ფინანსური აუდიტი	ხარისხობრივი კი/არა	თანამშრომელთა გამოკითხვის შედეგები	მუდმივ რეჟიმში	ადმინისტრაცია
მოკლე და გრელვადიანი ფინანსური პროგნოზების შემუშავება	შემუშავებულია მოკლე და გრძელვადიანი ფინანსური პროგნოზირების დოკუმენტი	ხარისხობრივი კი/არა	თანამშრომელთა გამოკითხვის შედეგები	პროექტის დასრულებისას	ადმინისტრაცია
სტრატეგიული მიმართულება 3. ინფრასტრუქტურის განვითარება					
1. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება					
სამეცნიერო/კვლევითი ლაბორატორიების განვითარება	უნივერსიტეტის ლაბორატორიები აღჭურვილია ახალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით	ხარისხობრივი კი/არა	თანამშრომელთა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები	პროექტის დასრულებისას	ადმინისტრაცია, მედიცინის ფაკულტეტი
უნარ-ჩვევების და საგამოცდო ცენტრის განვითარება	უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საგამოცდო ცენტრისა და უნარ-ჩვევების ცენტრი	ხარისხობრივი კი/არა	თანამშრომელთა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები	პროექტის დასრულებისას	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადმინისტრაცია, მედიცინის ფაკულტეტი

მიზანი	ინდიკატორი	ინდიკატორის განზომილება	ინფორმაციის წყარო	მონიტორინგის პერიოდულობა	პასუხისმგებელი ერთეული
საბიბლიოთეკო ფონდის მუდმივი განახლება, როგორც წიგნებით და ასევე ელექტრონული რესურსებით	ბიბლიოთეკას გააჩნია ახალი ბეჭდური და ელექტრონული წიგნები	რაოდენობრივი / რიცხვი	თანამშრომელთა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები	მუდმივ რეჟიმში	ადმინისტრაცია
წიგნადი ფონდის აღწერისა და კოდირების თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების (RDA და MARC21) დანერგვა	ბიბლიოთეკა სარგებლობს წიგნადი ფონდის ელექტრონული აღწერის სიტემით	ხარისხობრივი კი/არა	თანამშრომელთა გამოკითხვის შედეგები	პროექტის დასრულებისას	ადმინისტრაცია
სამკითხველო დარბაზის გაფართოება	გაფართოებული სამკითხველო დარბაზი	ხარისხობრივი კი/არა	თანამშრომელთა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები	პროექტის დასრულებისას	ადმინისტრაცია
ადგილობრივ და საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელებში გაწევრიანება.	უნივერსიტეტი გაწევრიანებულია ადგილობრივ და საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელებში	რაოდენობრივი / რიცხვი	თანამშრომელთა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები	პროექტის დასრულებისას	ადმინისტრაცია
სამეცნიერო ელექტრონული ბაზების შესყიდვა.	ბიბლიოთეკას გააჩნია ახალი სამეცნიერო ელექტრონული ბაზები	რაოდენობრივი / რიცხვი	თანამშრომელთა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები	პროექტის დასრულებისას	ადმინისტრაცია
2. კამპუსის განვითარება					
სტუდენტური საერთო საცხოვრებლის ამოქმედება	ფუნქციონირებს სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი	ხარისხობრივი კი/არა	სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები	პროექტის დასრულებისას	ადმინისტრაცია
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებზე მორგებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	შექმნილია შშმ პირთა მოთხოვნებზე მორგებული სივრცეები	ხარისხობრივი კი/არა	თანამშრომელთა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები	პროექტის დასრულებისას	ადმინისტრაცია
სარეკრეაციო და კულტურული სივრცეების ამოქმედება	ფუნქციონირებს ახალი კულტურული და სარეკრეაციო სივრცეები	ხარისხობრივი კი/არა	თანამშრომელთა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები	პროექტის დასრულებისას	ადმინისტრაცია

ისმეთ დინდარ
რექტორი

ჯილდა ჭვიშვილი
*ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსი*

ნანა კუთუბიძე
*საერთაშორისო მარკეტინგისა და
სტუდენტთა მომსახურების
სამსახურის უფროსი*

ნელი გუპარბიძე
*საფინანსო-ეკონომიკური
სამსახურის უფროსი*

თეა მიქელაძე
ადმინისტრაციის უფროსი

ლეილა ახვლედიანი
მედიცინის ფაკულტეტის დეკანი

თამარ ბაბელია
იურიდიული სამსახურის უფროსი

თეონა ხაბაძე
ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი